

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №4**

ქ. თბილისი

04.05.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე; (შემდგომში - თავმჯდომარე)

თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი;

ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;

ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;

გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;

ლიკა გიორგაძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ შენგელია - შესაბამისობის, შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის წარმომადგენლები:**

ნათელა მურადაშვილი - დირექტორი;

ლია კბილაშვილი - დირექტორი;

მაია ხარძიანი - დირექტორის მოადგილე.

დაწესებულება სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“  
წარმომადგენლები:

ანდრეს კრუზი - დირექტორი;  
მარინა ჯაფარიძე - დირექტორის მოადგილე;  
თამარ მიქაბერიძე - მოსწავლეთა დეკანი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-  
ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი;  
მიხეილ ტეფნაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:40 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა;
2. დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

## 1. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარუდგინა.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, შემდეგი გარემოებები დაფიქსირდა:

### მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რადგანაც სარეგისტრაციო სამსახურის 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო სამსახურმა შეაჩერა აღნიშნული საქმის წარმოება, რის საფუძველადაც მიუთითა მეიჯარის სს „ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანის“ მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი.

ქარხნის ხელმძღვანელობას შეტანილი ჰქონდა განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოში. დაწესებულებამ წარმოადგინა სს „ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის“ დირექტორის წერილები.

კლასებისა და საგნების მიხედვით, სრულად არ იყო წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი გრიფირებული სახელმძღვანელოები. კერძოდ, დაწესებულებას არ ჰქონდა შემდეგი სახელმძღვანელოები:

- პირველი და მე-2 კლასების ხელოვნების სახელმძღვანელოები;
- პირველი, მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 კლასების მუსიკის სახელმძღვანელოები;
- მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-9 და მე-10 კლასების რუსულის სახელმძღვანელოები;
- მე-2, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები;
- მე-6 კლასის ჩვენი სამშობლო, მე-10 კლასის ისტორიის და მე-8 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის დროს მიმდინარეობდა კომპიუტერული ოთახების ინტერნეტის ქსელის სარემონტო სამუშაოები.

სკოლის ვებგვერდი <http://www.codna-muradashvili.ge/>, რომელიც ასრულებდა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას, თუმცა ოქტომბრის შემდეგ, ინფორმაცია არ იყო განახლებული. ვებგვერდზე დადებული ზოგიერთი დოკუმენტიც განსაზღვრული იყო.

არ კონტროლდებოდა მე-2 სართული, ხოლო გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად, ცენტრალურ შესასვლელში დამონტაჟებული იყო 2 ვიდეოკამერა, რომელთა განთავსების ადგილი არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგანსაქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს

№1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ სს ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას, სასამართლოს გადაწყვეტილებით აკრძალული ჰქონდა რაიმე გარიგების დადება, ასევე რეგისტრირებული იყო მოვალეთა რეესტრში, დაწესებულებამ რამდენჯერმე ითხოვა საქმის საკითხის გადადება საკითხის მოგვარებამდე, თუმცა მისი ინფორმაციით ამ ეტაპზეც პრობლემა მოუგვარებელი იყო. ლევან მადათოვმა აღნიშნა რომ დაწესებულებას მიმდინარე წელს ხელახლა უწევდა ავტორიზაციის გავლა და ფართის პრობლემის მოგვარების გარეშე დაწესებულება ხელახლა ვერ მოიპოვებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ, წელიწადნახევრის განმავლობაში, ორჯერ შეიცვალა სასწავლო ფართი. მისივე თქმით, ამჟამინდელ შენობაში გადასვლამდე, დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო მეიჯარის პრობლემების შესახებ, თუმცა, მისივე იურისტების ცნობით, პრობლემა მოგვარებადი იყო და გარანტიის სახით, წერილობითი ცნობის გაცემა იყო შესაძლებელი. წარმომადგენლის თქმით, პრობლემა უკვე თითქმის მოგვარებული იყო, მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის მოპოვება ჭიანჭურდებოდა. მისივე განცხადებით, მას თან ჰქონდა წერილები სააღსრულებო ბიუროდან იმის თაობაზე, რომ საქმეს ყველა საჭირო ინსტანცია გავლილი ჰქონდა.

დანარჩენ შენიშვნებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, სკოლა შენობაში ახალი გადასული იყო და შენობაში ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელი იყო. სკოლა გარემონტდა, კამერები უკვე ყველა სართულზე მუშაობდა, გარე კამერის ჩათვლით. სახელმძღვანელოებს რაც შეეხება, პედაგოგებმა სკოლას ჩუქებით აქტით გადასცეს ნაკლული სახელმძღვანელოები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ყადაღის გაუქმების შემდეგ, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფლებამოსილებები. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად განაცხადა, რომ პრობლემა ორ კვირაში მოგვარდებოდა.

რევაზ აფხაზავას კითხვაზე პასუხად, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლა სამივე საფეხურს ახორციელებდა და ამჟამად სულ 40 მოსწავლე სწავლობდა. სკოლას რეავტორიზაცია აგვისტოში უწევდა. წარმომადგენლის თქმით, სკოლა 21 წლის მანძილზე არსებობდა. ფართის დამატების საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სკოლა უარს იტყოდა შემდგომ ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განხილვის დასასრულს განუცხადა, რომ მოსწავლეთა ინტერესი ერთადერთი მიზეზი იყო, რის გამოც საბჭოს საკითხის დადებითად გადაწყვეტა შეეძლო, რადგან სასწავლო წლის დასრულებამდე სულ თვენახევარი იყო დარჩენილი. ამასან ერთად, დაწესებულებას რეავტორიზაცია აგვისტოში უწევდა. თავმჯდომარის თქმით, არსებული პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ავტორიზაციის ხელახლა მოპოვებას ვერ შეძლებდა. ასევე, დაწესებულებას აუცილებლად უნდა ეცნობებინა საკუთარი მოსწავლეებისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, არსებული პრობლემების მოგვარებისთანავე, დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაუყონებლივ ცენტრში წარმოედგინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის (საიდენტიფიკაციო კოდი: 209440121) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

17:10 საათზე სხდომაზე შესვენება გამოცხადდა.

სხდომა განახლდა 17:35 საათზე.

 5

## 2. დაწესებულების სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა წარუდგინა.

ექსპერტმა საბჭოს სკოლის მისია გააცნო და განაცხადა, რომ სკოლა სრული წარმატებით ახერხებდა მისიაზე გასვლას. სკოლა ახორციელებდა საბაზო და საშუალო საფეხურებზე სწავლებას, მეცხრედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით. ექსპერტის თქმით, სკოლაში სწავლება ძირითადად ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა საგნების ნაწილი მაგალითად ისტორია ისწავლებოდა ქართულადაც. სკოლაში მისაღებად მოსწავლეები მათემატიკასა და ინგლისურში გამოცდას აბარებდნენ.

ექსპერტის თქმით, სკოლაში ირიცხებოდნენ მოსწავლეები აფხაზეთიდან და პანკისის ხეობიდანაც, რომლებიც განათლებას უსასყიდლოდ იღებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლამ შეისწავლა აღნიშნულ მოსწავლეთა ოჯახების ფინანსური მდგომარეობა და სწავლა სრულად დაუფინანსა. წარმომადგენლისვე თქმით, თუკი ბავშვის შესაძლებლობები და უნარები სკოლის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, ფინანსურ მდგომარეობას მისთვის სწავლაში ხელი არ უნდა შეეშალა. რევაზ აფხაზავას კითხვაზე პასუხად, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში სწავლის საფასური გასულ წელს 19 000 ლარს, ხოლო მიმდინარე წელს 22 000 ლარს შეადგენდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში რიგი საგნებისა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით, ინტეგრირებულად ისწავლებოდა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ ვინაიდან სასკოლო სასწავლო გეგმა ყოველწლიურად მტკიცდებოდა, დაწესებულებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით განხორციელების ნებართვა ყოველწლიურად ესაჭიროებოდა.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, სკოლის სასწავლო გეგმაში იყო თუ არა საგნების ცალკე ჩამონათვალი. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა, საპასუხოდ თანხმობა განაცხადა, თუმცა აღნიშნა რომ საგნები ინტეგრირებულად ისწავლებოდა. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ თუკი საგნები ინტეგრირებულად ისწავლებოდა, ცალკე საგნების ჩამონათვალი ვერ იქნებოდა, სადაც თითოეული საათობრივად უნდა ყოფილიყო გაწერილი. საბჭოს წევრის განცხადებით, ნებართვა, რომელიც დაწესებულებამ ხუთი წლის წინ მოიპოვა, მისთვის მისაღები იყო, თუმცა ამჟამად სკოლა ახალ ნებართვას საჭიროებდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ სკოლისთვის ნებართვის მოთხოვნა მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა ეროვნულ სასწავლო

გეგმაში ცვლილება შევიდოდა. საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაეთანხმა ექსპერტს, თუმცა განაცხადა, რომ დაწესებულებას 5 წლის პერიოდში ხელახლა უნდა მიემართა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტისთვის ახალი ნებართვის ასაღებად, მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის წერილით, ჰქონდა განსხვავებული წესით სწავლების ნებართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ ნინო ფეტვიაშვილს მიმართა კითხვით, თუ რამდენად საჭირო იყო სკოლისთვის აღნიშნული ნებართვის ქონა. ექსპერტმა პასუხად განაცხადა, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, აღნიშნული ნებართვის ქონა აუცილებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი დასკვნაში სტანდარტებთან შეუსაბამობას დააფიქსირებდა. ნებართვის არსებობის შემთხვევაში კი ექსპერტთა ჯგუფი უფლებამოსილი იყო არსებული განსხვავებები (ინგლისურ ენაზე სწავლების საკითხი, განსხვავებული შეფასების სისტემა და ა.შ.) არ დაეფიქსირებინა, როგორც ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა. ექსპერტმა დასძინა, რომ მას თან ჰქონდა სკოლის 2011 წერილი სამინისტროს მიმართ და სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვა - მას შემდეგ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილება არ განხორციელებულა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ საბჭოს განუცხადა, რომ სასკოლო გეგმა ყოველწლიურად მტკიცდებოდა, შესაბამისად, 2011 წელს გაცემული ნებართვა 2016 წლისთვის ვალიდური ვერ იქნებოდა. პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა ყოველწლიურად ცენტრს წლიურ თვითშეფასების ანგარიშს უგზავნიდა, თუმცა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამობის თაობაზე ცენტრს სკოლისთვის არასდროს უცნობებია. მისივე თქმით, სკოლას მთავარ დაბრკოლებად სწავლების ენის საკითხი მიაჩნდა - შინაარსობრივ ნაწილში, წარმომადგენლის აზრით, გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა ორ - ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს სკოლისადმი გულწრფელი კეთილგანწყობის შესახებ აუწყა, თუმცა დასძინა, რომ ამჯერად სკოლა განიხილებოდა, როგორც ახალი სუბიექტი. ექსპერტი დასკვნაში სტანდარტებთან შესაბამისობას აფიქსირებდა მხოლოდ სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასკვნა უარყოფითი იქნებოდა.

ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სასკოლო პროგრამა შინაარსობრივად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, თუმცა ბადიდან ერთერთი საგანი ამოღებული იყო, რის შესახებაც დასკვნაში იყო აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში ეროვნული სასწავლო გეგმის საბაზო საფეხურის ნაწილში ცვლილებები იგეგმებოდა, ექსპერტმა განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის გადახედვის პროცესში, აღნიშნულთან დაკავშირებით, სამომავლოდ სკოლას უნდა ეზრუნა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ სკოლისადმი საყოველთაო დადებითი განწყობის შესახებ აღნიშნა, თუმცა განაცხადა, რომ გარკვეული საკითხები სამართლებრივ დარეგულირებას საჭიროებდა. ამ საკითხებზე თვალის დახუჭვის შემთხვევაში, შესაძლოა ბევრ სხვა სკოლას გასჩენოდა ეროვნულ სასწავლო გეგმისთვის ან კანონისთვის გვერდის ავლის მოტივაცია.

ლაშა მარგიშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ მიზანშეწონილი იყო საკითხი ორად გამიჯნულიყო. მისი მოსაზრებით, ერთის მხრივ, სამინისტროს არასდროს ჰქონია უცხო ენაზე სწავლების ნებართვის გაცემის უფლება, რადგან კანონით იყო დადგენილი და გამონაკლისი მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით შესაძლოა ყოფილიყო განსაზღვრული. მეორეს

მხრივ, სკოლას ჰქონდა საკუთარი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავდებოდა. აღნიშნული საკითხი სამინისტროს განსახილველი იყო, თუკი ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცვლებოდა, უნდა განეხილებინა თუ არა სკოლას მიღებული ნებართვა.

ხათუნა ბარაბაძის განცხადებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებობდა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, თუკი სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავდებოდა - მაგალითად, თუკი რომელიმე საგანი იყო ამოღებული ბადიდან, აღნიშნული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან შეთანხმებას საჭიროებდა. მისი თქმით, საბჭო სწორედ აღნიშნულ პრობლემაზე ამხვილებდა ყურადღებას და არა შინაარსობრივ გადაცდომაზე. საბჭოს წევრის მოსაზრებით, რეაქტორიზაციის შემთხვევაში, სკოლას ახალი ნებართვა ესაჭიროებოდა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

რევაზ აფხაზავა სკოლაში სამეთვალყურეო კამერების საკითხით დაინტერესდა. ექსპერტმა პასუხად განაცხადა, რომ სკოლას კამერა მხოლოდ სკოლის გარეთ ჰქონდა დამონტაჟებული, თუმცა უსაფრთხოების გარანტიები ნამდვილად არსებობდა. სკოლის წარმომადგენლის განცხადებით, გარკვეული მოსაზრებების გამო, სკოლა უარს ამბობდა შიდა კამერების განთავსებაზე, თუმცა სკოლას უსაფრთხოების სამსახური ემსახურებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ განხილვის დასასრულს დაწესებულებას განუცხადა, რომ საბჭოსთვის, დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად, ხელჩასაჭიდს მხოლოდ ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ გასული ხუთი წლის განმავლობაში, ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილება არ განხორციელებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რამდენი ერთეულით სურდათ მოსწავლეების ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამომავლოდ სკოლას მე-7 და მე-8 კლასების დამატებაც სურდა - სულ 80 მოსწავლის. ამჟამად დაწესებულებას 275-285 მოსწავლე ჰყავდა. ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 390 მოსწავლის მიღების საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 390-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესებულება - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204958000) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, მიემართა იმ სკოლებისთვის, რომლებიც სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული წესით ახორციელებდნენ და მათთვის სამინისტროს ნებართვის ხელახლა წარმოდგენა მოეთხოვა.

საბჭოს შუამდგომლობით, დაწესებულებას - სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ აღნიშნული თანხმობის წარმოსადგენად, ერთთვიანი ვადა განესაზღვრა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს საკუთარი მოსაზრება გააცნო, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სკოლებს ეროვნული სასწავლო გეგმის ყოველი ცვლილებისას სამინისტროს ნებართვა ყოველ ჯერზე ხელახლა უნდა წარმოედგინა. მისივე თქმით, აუცილებელი იყო აღნიშნული ნებართვის ვადები განსაზღვრულიყო და მისი წარმოდგენა, მინიმუმ, ყოველი მომდევნო ავტორიზაციის ან ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილების დროს მომხდარიყო. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა.

პასუხად დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამჟამად არსებული 2011 წელს გაცემული ნებართვაში ვადები არ იყო განსაზღვრული, რის გამოც დაწესებულებას არ მიუჩნევია საჭიროდ ხელახლა მიემართა სამინისტროსთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოსა და ცენტრის პოზიციაზე თანხმობა განაცხადეს და აღნიშნეს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართავდნენ ნებართვის ასაღებას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 18:00 საათზე.

თავმჯდომარე  
ირინა აბულაძე

მდივანი  
თამარ ფხალაძე

